ციფრული ეკონომიკის პერსპექტივები იმედისმომცემად გამოიყურება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციები მიმართულია განვითარებად ტექნოლოგიებზე, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი (IoT) და ბლოკჩეინი. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ტექნოლოგიების გამოყენება ისეთ ინდუსტრიებში, როგორცაა საავტომობილო, ნავთობისა და გაზის და ნავთობქიმიური მრეწველობა, ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას ცოდნის ეკონომიკაში.

Statista-ს მონაცემების მიხედვით, ირანის ციფრული ეკონომიკის წილი მშპ-ში 3.8%-დან (2016წ) 6.9%-მდე (2020წ) გაიზარდა. გარდა ამისა, ირანის ელექტრონული კომერციის რეალური ღირებულების თანაფარდობამ მშპ-სთან (ნავთობის გამოკლებით) 2020 წელს 25%-ს მიაღწია.




Figure 3: Iran's digital economy share of GDP

Source: www.ir.undp.org

ირანის ელექტრონული გადახდის სისტემის (Shaparak) მონაცემების მიხედვით, 2020 წელს ირანში ელექტრონულმა გადახდებმა გაყიდვების პუნქტის, ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების მეშვეობით, 42 მილიარდ აშშ დოლარს (USD/IRR 260,000) გადააჭარბა. ირანის სტატისტიკის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, ეს თანხა 2020 წელს ქვეყნის ლიკვიდურობის 34%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს ირანში ინტერნეტ შესყიდვების რაოდენობა 2,5-ჯერ გაიზარდა.

ირანის ელექტრონული კომერციის განვითარების ცენტრის ანგარიშის მიხედვით, ელექტრონული კომერციის ერთეულების საერთო რაოდენობა 350 000 ერთეულს შეადგენს.




Figure 4: Value of e-commerce transactions and Iran's liquidity [B USD]

Source: www.ir.undp.org

Digikala-ს (ქვეყნის ელექტრონული კომერციის ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის მიერ) 2020 წელს გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, ონლაინ სავაჭრო პორტალების რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა და დაახლოებით 49 000 შეადგენს. ანალოგიურად, ონლაინ საცალო გაყიდვების წილი ირანში ელექტრონული კომერციის მთლიან ტრანზაქციებში გაიზარდა 2 %-დან 2019 წელს 3.2 %-მდე 2020 წელს. ეს რიცხვი დაკავშირებულია სავაჭრო საიტებთან, ასევე სოციალურ მედიასთან. ქვემოთ მოცემულ რუკაზე ნაჩვენებია ირანის ონლაინ საცალო ვაჭრობის წილი სხვა ქვეყნებთან შედარებით 2020 წელს.




Figure 5: share of online retail in the world, 2020

Source: www.ir.undp.org

ირანის სტარტაპ ეკოსისტემა

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინკუბატორი ირანში 2000 წელს დაარსდა, სტარტაპების პირველი ტალღა ირანში 2012 წლის შემდეგ დაიწყო, რამდენიმე უნივერსიტეტის ინიციატივების, გამჭრიახი ადამიანებისა და უცხოეთში განათლებამირებული ირანელების დაბრუნების წყალობით.

ირანული სტარტაპების მეორე ტალღა 2016 წელს გაჩნდა იმ კომპანიების მეშვეობით, რომლებიც მუშაობენ ისეთ სექტორებში, როგორცაა ფინანსური ტექნოლოგიები (FinTech), სადაზღვევო ტექნოლოგიები (InsurTech), ვიდეო მოთხოვნით (VOD) და შეტყობინებების გაცვლისთვის შექმნილი აპლიკაციები.

მიმდინარე მესამე ტალღა დაიწყო 2018 წელს, როდესაც აშშ-მ დატოვა შეთანხმება "ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა" (JCPOA). თუმცა, შეზღუდვები შეიძლება გადაიქცეს შესაძლებლობებად; ასე მოხდა ირანში. საერთაშორისო აქტორების არარსებობის პირობებში, ირანელებმა გამოიყენეს შესაძლებლობა და დაიწყეს საერთაშორისო პლატფორმებისა და სერვისების კლონირება და ლოკალიზება.


მთავრობამ, როგორც ირანის ინოვაციური ეკოსისტემის ერთ-ერთმა მთავარმა მოთამაშემ, 2013 წელს დააარსა ირანის ეროვნული ინოვაციების ფონდი (INIF), რომელიც დაეხმარება არასამთავრობო ინსტიტუტებსა და კომპანიებს ინოვაციების კომერციალიზაციაში ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიების (KBFs) ფინანსური მხარდაჭერით, ძირითადად სესხების სახით. ირანის ეროვნული ინოვაციების ფონდის (INIF) მიერ ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიებისთვის სესხის გამოყოფამ ხელი შეუწყო 8,371 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და დაახლოებით 79 ათასი სამუშაო ადგილის შენარჩუნებას ბოლო 3 წლის განმავლობაში. მთავრობის ჯამური ფინანსური მხარდაჭერა 2020 წელს 9 მილიონი აშშ დოლარიდან 217 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

2019-2020 წლებში მთავრობის მიერ დაფინანსებულმა სუბიექტებმა, მათ შორის, ეროვნული განვითარების ფონდმა და ეროვნული ინოვაციების ფონდმა, შემოიღეს მთავრობის მიერ დაფინანსებული სტარტაპების მხარდაჭერის სქემები, რომლის თანახმადაც ისინი აძლევენ სესხებს და გრანტებს უკვე არსებულ და ახლად შექმნილ სტარტაპებს.

2014 - 2020 წლებში ორმა ინსტიტუტმა - ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამინისტრომ და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტმა - დახმარება გაუწიეს სტარტაპებს სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით.

ამ წლების განმავლობაში, მთავრობა ასევე ცდილობდა დაეხმარებოდა მეწარმეებს ადრეული სტადიის სტარტაპებისთვის რეგულაციებისა და საგადასახადო კანონების შემსუბუქებით და „ცოდნაზე დაფუძნებული ფირმის“ გეგმის მეშვეობით. მთავრობამ მხარი დაუჭირა VC-ებს და აქსელერატორებს საუნივერსიტეტო კამპუსებში სივრცის გამოყოფით. ფარდისის ტექნოლოგიური პარკი, რომელსაც "ირანის სილიკონის ველი" უწოდეს, დაფინანსდა მთავრობის მიერ ტექნოლოგიური სექტორის დასახმარებლად. 2019 წლიდან, სანქციების ხელახალი დაწესების შემდეგ, თვითკმარობის კონცეფციის ხელშეწყობის მიზნით, მკვეთრად გაიზარდა სტარტაპების სახელმწიფო მხარდაჭერა. მხარდაჭერა მოიცავდა დაფინანსებას სესხებისა და პირდაპირი ინვესტიციების სახით (ირანის ეროვნული ინოვაციების ფონდის მეშვეობით), ასევე სხვა საშუალებების შექმნას სტარტაპების მხარდასაჭერად, როგორცაა აქსელერატორები, ინოვაციების ცენტრები და ქარხნები. პოლიტიკის ამ ზომებმა განაპირობა ასეთი ცენტრების რაოდენობის სწრაფი ზრდა 2019 - 2020 წლებში.

ირანის სტარტაპ ეკოსისტემის ისტორია



უდავოდ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მიღწევა იყო ეროვნული ინოვაციების ფონდის რეფორმა. ფონდმა შეიმუშავა ახალი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა სარისკო კაპიტალი ცოდნის ეკონომიკის ხელშეწყობისთვის.

როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაწეული იყო სესხების მეშვეობით. უფრო მეტიც, 2019 წლიდან მკვეთრად გაიზარდა ბიუჯეტი. 2019-2020 წლებში ფინანსური მხარდაჭერის ჯამურმა მოცულობამ შეადგინა ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტის 87%.




Figure 6: INIF ფინანსური მხარდაჭერა ტიპის მიხედვით, მილიონი აშშ დოლარი [2015-2020]

Source: www.ir.undp.org

ცოდნის ეკონომიკის დაფინანსების სისტემის ინსტიტუციურ ჯაჭვში დარჩენილი ხარვეზები შეიძლება აღმოიფხვრას საკრედიტო ინსტიტუტების მხარდაჭერით, სარისკო კაპიტალის მეგა ფონდების განვითარებით და ცოდნის ეკონომიკის ბანკის შექმნით.

ქვემოთ ნაჩვენებია ირანის ეროვნული ინოვაციების ფონდის (INIF) სესხის განაწილება 2018-2020 წლებში განაცხადის ტიპის მიხედვით. საბრუნავი კაპიტალის წილი ყველაზე მნიშვნელოვანია მთლიან განაწილებაში.




Figure 7: INIF სესხის განაწილება სექტორების მიხედვით, [2018-2020]

Source: www.ir.undp.org

როგორც ქვემოთ მოცემულია, სტარტაპების დაფინანსების ყველაზე გავრცელებული გზა - პერსონალური დაფინანსება, რასაც მოჰყვება სარისკო კაპიტალი. განაწილება გაანალიზებულია ქვემოთ.




Figure 8: ირანში გამოკითხული სტარტაპების დაფინანსების მეთოდები

Source: www.ir.undp.org

გაზრდილ შიდა მოთხოვნასთან ერთად, 2015 წლიდან მოყოლებული ტექნოლოგიური ინკუბატორებისა და სტარტაპ აქსელერატორების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიების და სტარტაპების რაოდენობის ექსპონენტური ზრდა. 2015 წლიდან მიღებულმა კანონებისა და პოლიტიკის სერიათ მოხსნა კონკურენციის ხელისშემშლელი ბარიერები და გააუმჯობესა ინოვაციების ფინანსური მხარდაჭერა. აქ მოცემულია რამდენიმე ცნობილი ირანული სტარტაპის ინფოგრაფიკა და მათი საერთაშორისო ეკვივალენტები.

ზოგიერთი ირანული სტარტაპი და მისი საერთაშორისო ეკვივალენტი



Source: www.ir.undp.org



მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სტატისტიკა

20-წლიანი დოკუმენტის Vision 2025 მიხედვით, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში პირველი ადგილის მიღწევა რეგიონში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის რეალიზაციის თვალსაზრისით, აქცენტით პროგრამული უზრუნველყოფაზე და სამეცნიერო წარმოებაზე, და მოწინავე ცოდნისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წარმოების უნარის შექმნა, უმნიშვნელოვანესი მიზნებია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში. ქვევით მოცემულია ბოლო წლების აღწერილობითი და რაოდენობრივი მონაცემები მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ტენდენციების შესახებ ირანში.

• **უმაღლესი განათლების სტუდენტების რაოდენობა სქესის და სწავლების საფეხურის მიხედვით**

2020-2021 წლებში ირანის უნივერსიტეტებში სულ 3 173 779 სტუდენტი სწავლობდა, აქედან 49.2% ქალი იყო, რაც გენდერული ბალანსის კარგი მაჩვენებელია ირანში, შედარებით რეგიონის სხვა ქვეყნებთან. ქვევით ნაჩვენებია სტუდენტთა განაწილება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.




Figure 9: სტუდენტები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების საფეხურების მიხედვით, 2019-2020

Source: Institute of Research and Planning in Higher Education



• ირანის სამეცნიერო წარმოების ტენდენციები

Clarivate Analytics-ის, Scopus-ისა და ISC-ის სტატისტიკა აჩვენებს, რომ ირანელი მკვლევრების ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების მოცულობა სტაბილურად იზრდებოდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში და საერთაშორისო სანქციების მიუხედავად, ირანი ანვითარებს სამეცნიერო საქმიანობას. ისლამური სამყაროს სამეცნიერო ციტირების ცენტრის (ISC) თანახმად, ირანი 2019 წლის საუკეთესო 25 ქვეყანას შორის პუბლიკაციების რაოდენობით მეორე ადგილზეა. 10,4%-იანი ზრდის ტემპით, ირანი მეორე ადგილზეა ჩინეთის შემდეგ (12,9%) 25 ტოპ ქვეყანას შორის. Scopus-ის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ირანი მე-4 ადგილზეა ციტირებადი სტატიების რაოდენობით იყინერიის დარგში, ხოლო 2020 წელს იმავე თემატიკის პუბლიკაციების რაოდენობით მე-11 ადგილს იკავებს. ირანული სამეცნიერო პუბლიკაციების პროცენტული წილი მსოფლიო სამეცნიერო პუბლიკაციებში 2020 წელს შეადგენდა 1,98%, ხოლო მისი წილი საერთაშორისო პუბლიკაციებში ინჟინერიის დარგში 2,7%, რაც 2010 და 2017 წლებში, გაზრდილია 1,7% და 2,4%-ით.




Figure 10: ირანის სამეცნიერო პუბლიკაციები 2017-2021

Source: Web of Science




Figure 11: ირანის პროცენტული წილი საერთაშორისო გამოცემებში ინჟინერიის დარგში 2005-2021 (Scopus)

3,13%-იანი ზრდის ტემპით, ირანი მესამე ადგილზეა საინჟინრო პუბლიკაციებით ტოპ 15 ქვეყანას შორის, რაც 2021 წელს 2020 წელთან შედარებით დადებითი ზრდის მაჩვენებელია.

ირანმა შეძლო ეფექტურად გაეუმჯობესებინა თავისი რეიტინგი (ტექნიკური პუბლიკაციების ციტირების რეიტინგში) ბოლო ათწლეულის განმავლობაში: 2021 წელს ირანის საინჟინრო პუბლიკაციების ნორმალიზებული ციტირების ინდექსია 1.35, რაც ნიშნავს, რომ ირანმა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე 57%-ით უკეთესი შედეგი აჩვენა. ირანის ჯამური ნორმალიზებული ციტირების ქულა არის 1.15, რაც ნიშნავს, რომ ირანმა მიაღწია უფრო დიდ წარმატებას საინჟინრო სფეროში (მთელ შესწავლილ პერიოდში, ირანის მიღწევები ინჟინერიის სფეროში გაცილებით თვალსაჩინო იყო, ვიდრე ქვეყნის მთლიანი მაჩვენებელი).




Figure 12: ირანის მთლიანი სამეცნიერო პუბლიკაციების და საინჟინრო პუბლიკაციების ციტირება 2005-2020 წწ. (Scopus)



Scopus-ის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ირანის პროცენტული წილი სამეცნიერო დიპლომატიკაში 2021 წელს 34%-მდე გაიზარდა. ქვეყნების სამეცნიერო დიპლომატიის ეფექტურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საერთაშორისო თანაჯვარული ნაშრომების პროცენტული წილი ქვეყნების მთლიან სამეცნიერო წარმოებაში, რომელიც ირანისთვის 2011 წლის 17%-დან 2021 წელს 34%-მდე გაიზარდა.




Figure 13: საერთაშორისო თანაჯვარული ნაშრომების პროცენტული წილი მთლიან სამეცნიერო პუბლიკაციებში 2005-2021წწ. (Scopus)




Figure 14: სამეცნიერო დიპლომატიის ზრდა, 2020 და 2019 წლების შედარება (Scopus)

ირანის გლობალური რეიტინგი ტექნოლოგიის სხვადასხვა დარგში პუბლიკაციების რაოდენობის მიხედვით

Technology	Nanotechnology	Biotechnology	Bioengineering	Agricultural and Biological Sciences
Date	Dec. 2021	2021	2021	2021
Number of Articles	12236	1204	1021	845
Rank	4 th *	12 th	9 th	17 th

Biochemistry, Genetics, and Molecular Biology	Energy Engineering and Power Technology	Computer Science	Energy	Renewable Energy, Sustainability and Environment
2021	2021	2021	2021	2021
1078	2452	1523	891	2486
19 th	11 th	22 nd	10 th	11 th

Fuel Technology	Cognitive Neuroscience	Aerospace Engineering	Ocean Engineering	Water Science and Technology
2021	2021	2021	2021	2021
1156	139	663	516	1656
10 th	27 th	8 th	9 th	6 th

* <https://statnano.com/report/r67>

Source: <https://www.scimagojr.com/countryrank.php>: updated April 2022

• ირანი მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში

მთავრობა ისრაფვის გააუმჯობესოს უმაღლესი განათლების სისტემა, მათ შორის უნივერსიტეტები, როგორც ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების მთავარი სტრატეგია. ლეიდენის 2022 წლის რეიტინგში, საუკეთესო უნივერსიტეტებს შორისაა ირანის 44 უნივერსიტეტი. ლეიდენის 2022 წლის რეიტინგში უნივერსიტეტების რაოდენობით ირანი ლიდერობს ისლამურ ქვეყნებს შორის. ქვემოთ მოყვანილია ირანის მაჩვენებლები ლეიდენის რეიტინგში შეტანილი უნივერსიტეტების რაოდენობის მიხედვით 2012-2022 წლებში.




Figure 15: ირანის უნივერსიტეტების რაოდენობა ლეიდენის რეიტინგში 2012-2022

• ისლამური ქვეყნები ლეიდენის 2022 წლის რეიტინგში

ქვემოთ ნაჩვენებია ისლამური ქვეყნების უნივერსიტეტების რაოდენობა ლეიდენის რეიტინგში 2022 წლისთვის.




Figure 16: ისლამური ქვეყნები ლეიდენის 2022 წლის რეიტინგში

• სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკები

მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების სამინისტროს მონაცემებით, 2021 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით 49 სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკია. თითოეულ პროვინციაში არის მინიმუმ 1 სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკი, ხოლო ზოგ პროვინციაში 1-ზე მეტი, კერძოდ თეირანში 12, ხორასანე რაზავის, სემნანის, მარქაზის და ჰორმოზგანის პროვინციებში ორ-ორი სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკია.




Figure 17: სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკების რაოდენობის ზრდა 2012-2021 წლებში.

Source: MSRT, www.msrt.ir/fa/techno/Files/.




Figure 18: სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკებისა და ინკუბატორების ზრდის ტენდენცია
 Source: MSRT, www.msrt.ir/fa/techno/Files/.





Figure 19: ტექნოლოგიური და ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიები, რომლებიც მდებარეობენ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პარკებსა და ინკუბატორებში
 Source: MSRT, www.msrt.ir/fa/techno/Files/.



S&T პარკებში მომუშავე ტექნოლოგების რაოდენობის ზრდა 2012 წელს 19 000-დან, 65 000-მდე 2021 წელს.

Figure 20: სამუშაო ადგილების შექმნა ტექნოლოგიური კომპანიების მიერ
 Source: MSRT, www.msrt.ir/fa/techno/Files/.

• **ინკუბატორები**

პირველი ინკუბატორი ირანში 2000 წელს შეიქმნა. ბოლო წლებში ინკუბატორების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების სამინისტროს ცნობით, ირანში ინკუბატორების საერთო რაოდენობა 2021 წლისთვის 223-ს შეადგენს..





Figure 21: ინკუბატორების რაოდენობის ზრდა 2012-2021 წლებში

Source: MSRT, www.msrt.ir/fa/techno/Files/.

დაინტერესებული მხარეების ინტერესის სფეროებიდან გამომდინარე, ინკუბატორებს შეიძლება ჰქონდეთ ზოგადი ან სპეციალიზებული ფოკუსირება კონკრეტულ ინდუსტრიაზე. ირანის ინკუბატორების 35% სპეციალიზირებულია სხვადასხვა ინდუსტრიაში. ირანში ინკუბატორები ძირითადად დაკავშირებულია სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პარკებთან (61%) და უნივერსიტეტებთან (25%).

ირანში 223 ინკუბატორის განაწილება ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ რუკაზე. ინკუბატორები ძირითადად განლაგებულია ქვეყნის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს არც ერთი პროვინცია ინკუბატორის გარეშე. ინკუბატორების ყველაზე მაღალი წილი დედაქალაქ თეირანზე მოდის.



Source: www.ir.undp.org

• ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიები

2010 წელს „ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიების მხარდაჭერის შესახებ“ კანონის დამტკიცებისა და 2013 წელს მისი იმპლემენტაციის შემდეგ, შეიქმნა ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიების მხარდამჭერი სხვადასხვა მექანიზმები. ირანში ასეთი კომპანიების საერთო რაოდენობა 8020-ს აღწევს, საიდანაც 5226 მწარმოებელი კომპანია და 2794 სტარტაპია.



Source: <https://daneshbonyan.isti.ir>, updated: January 29, 2023

ცოდნაზე დაფუძნებული ფირმები ტექნოლოგიების კატეგორიის მიხედვით

Advanced materials and chemical-based products No. 1128	Medicines and advanced diagnostic and therapeutic products No. 478	Agriculture, biotechnology, and food industry No. 361
Electrical and electronic hardwares, laser and photonics No. 1809	Medical equipment and tools No. 321	Advanced equipment and machineries No. 1720
Cultural and creative industries and humanities and social sciences No. 31	Commercialization No. 394	ICT and softwares No. 1778

Source: <https://daneshbonyan.isti.ir>, updated: January 29, 2023

• შემოქმედებითი კომპანები

ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიების შექმნის გარდა, მთავრობის მხარდაჭერის გეგმის ფარგლებში შეიქმნა კიდევ ერთი ტიპის კომპანია, რომელიც ოფიციალურად ირანში 2017 წელს გაჩნდა და დაერქვა „კრეატიული კომპანია“. შემოქმედებითი კომპანიების ძირითადი საქმიანობა ხელოვნების, კრეატიული ინდუსტრიების, კულტურისა და ციფრული სერვისების სფეროა. შემოქმედებითი კომპანიები იყენებენ კრეატიულობას, ინოვაციებს და ახალ ბიზნეს მოდელებს ახალი პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებისთვის.

• **აქსელერატორები და ინოვაციების ცენტრები**

2021 წლის ნოემბრისთვის ირანში აქსელერატორების და ინოვაციური ცენტრების საერთო რაოდენობა 162-ს შეადგენდა. ირანში აქსელერატორების 69% სპეციალიზირებულია. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს სპეციალიზებული აქსელერატორების წილს სხვადასხვა ინდუსტრიაში.





Figure 22: სპეციალიზებული აქსელერატორების ინდუსტრიის სფერო ირანში

Source: www.ir.undp.org

ქვემოთ ნაჩვენებია 162 აქსელერატორის განაწილება ქვეყნის მასშტაბით.

ინოვაციური ცენტრების და აქსელერატორების განაწილების რუკა ირანში



Source: www.ir.undp.org

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მთავარი მოთამაშეები

ირანის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სისტემას ჰყავს არაერთი საკვანძო აქტორი, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა დონეზე. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ძირითადი ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა:

• კულტურული რევოლუციის უმაღლესი საბჭო

კულტურული რევოლუციის უმაღლესი საბჭო (SCCR) შეიქმნა 1984 წელს. SCCR არის უმაღლესი პოლიტიკის განმახორციელებელი და საკანონმდებლო ორგანო წინასაუნივერსიტეტო და აკადემიური განათლების ყველა საფეხურისთვის. მისი რეზოლუციები არ საჭიროებს პარლამენტის მხრიდან დამტკიცებას და ავტომატურად შედის ძალაში. SCCR შედგება ხელისუფლების სამი შტოს ხელმძღვანელებისგან - განათლების მინისტრისგან, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების მინისტრისა და ჯანდაცვისა და სამედიცინო განათლების მინისტრისაგან, საბჭოში ასევე შედის კულტურის რამდენიმე ექსპერტი. განათლების სამინისტრო პასუხისმგებელია წინა საუნივერსიტეტო განათლების ყველა საფეხურზე. მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების სამინისტროში ტექნოლოგიების განვითარებაზე პასუხისმგებელია ცალკეული დეპარტამენტი. საბჭოს მისია და ფართო საქმიანობა მოიცავს კულტურასა და მეცნიერებასთან დაკავშირებულ ყველა სფეროს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამრიგად, საბჭო ვალდებულია წარმოადგინოს და დამტკიცოს სამეცნიერო და კულტურულ საკითხებთან დაკავშირებული კანონები, მიზნები, პოლიტიკა და პროგრამები, მოამზადოს ქვეყნის კულტურული სტრატეგიული რუკა და განაახლოს ის, შეადგინოს სამეცნიერო რუკა, წარმოადგინოს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის განვითარების გეგმა, მკარო მენეჯმენტის წარმართვა და ორგანიზება კულტურულ, საგანმანათლებლო, კვლევით და მედია ორგანიზაციებში და ეფექტური სტრატეგიების უზრუნველყოფა თითოეული სფეროსთვის.

• მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისი

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისი (VPST) დაარსდა 2007 წელს საინოვაციო პოლიტიკის ზედამხედველობის მიზნით. ამრიგად, იგი ახორციელებს მნიშვნელოვან მისიას, რომ საინოვაციო პოლიტიკის ზედამხედველობის ფარგლებში, ჩართოს ყველა შესაბამისი მხარე ინოვაციების მხარდაჭერაში. სხვადასხვა გავლენიანი დარგობრივი სამინისტროები უზრუნველყოფილნი არიან ვრცელი რესურსებით, რომლებიც გამოყოფილია კვლევისა და ინოვაციებისთვის მათი კონკრეტული პასუხისმგებლობის სფეროებში. გადამწყვეტია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისის როლი საინოვაციო სისტემაში, როგორც საინოვაციო პოლიტიკის კოორდინატორის. ეს ხელს უწყობს მთელი მთავრობის მიდგომის ჩამოყალიბებას, რომელიც ხასიათდება ეფექტური სამინისტროთაშორისო თანამშრომლობით საინოვაციო პოლიტიკაში. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისი ექვემდებარება უშუალოდ პრეზიდენტს და ქმნის საფუძველს მეტი კოორდინაციისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის NIS-ის სხვადასხვა უწყებებს შორის. მოსალოდნელია, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისი ასევე დააკავშირებს საინოვაციო სისტემის მმართველობასა და ოპერაციულ დონეებს. ამჟამად, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისი აქტიურად არის ჩართული საინოვაციო პოლიტიკის პროგრამების განხორციელებაში, კოორდინაციას უწევს საინოვაციო საქმიანობას, ქმნის ნიადაგს ბიზნეს და ეკონომიკური ინოვაციების აქტიური მონაწილეობისა და ინოვაციური პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავებისთვის.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისს ჰყავს დაახლოებით 350 სამტატო თანამშრომელი, ასევე ჰყავს კონსულტანტები და ექსპერტები. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისი არ ცდილობს ყველა ამოცანის დამოუკიდებლად შესრულებას; პირიქით, ის აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისის მთავარი შიდა იერარქია შედგება ოთხი ვიცე-კანცლერისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პოლიტიკის შემუშავებასა და სტრატეგიულ შეფასებაზე, ტექნოლოგიების ინოვაციასა და კომერციალიზაციაზე, მენეჯმენტსა და რესურსების განვითარებაზე და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ თანამშრომლობაზე. ასევე აქვს ორი სპეციალური განყოფილება - KBFS-ის ოფისი და ფარდისის ტექნოლოგიური პარკი (PTP), რომელიც მდებარეობს დედაქალაქის, თეირანის შემოგარენში. ფარდისის ტექნოლოგიური პარკი ითვლება ყველაზე ინოვაციურ ტექნოლოგიურ პარკად ქვეყანაში, რომელიც მხარს უჭერს მადალტექნოლოგიურ კომპანიებს საერთაშორისო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

• სამეცნიერო და ტექნოლოგიური საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი

სამეცნიერო და ტექნოლოგიური საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი (CISTC) დაარსდა 2017 წელს, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობებისა და ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებში წარმომადგენლობის და ირანის ეროვნული ელიტური ფონდის (NEF) საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გაერთიანებით.

როგორც აღინიშნა, კულტურული რევოლუციის უმაღლესი საბჭოს (CISTC) ევალება ირანის საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების შესახებ ყოვლისმომცველი დოკუმენტის განხორციელება, რომელიც 2018 წელს კულტურული რევოლუციის უმაღლესმა საბჭომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისს წარუდგინა. ამ ცენტრის მთავარი მისიაა სხვა ქვეყნებთან, საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ინსტიტუტებთან და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობისა და კონსტრუქციული ურთიერთქმედების განვითარება ცოდნის ეკონომიკაში წამყვანი ჰოზიციების მისაღწევად.

CISTC-ის მთავარ სტრატეგიებს შორისაა სამეცნიერო პარტნიორობის ხელშეწყობა და ადამიანური რესურსების განვითარება უცხოელი ექსპერტების, განსაკუთრებით ირანული დიასპორის შესაძლებლობების გამოყენებით, ტექნოლოგიური თანამშრომლობისა და გაცვლის გაფართოება საერთაშორისო/უცხოური კომპანიების და სუბიექტების შესაძლებლობების გამოყენებით ტექნოლოგიების განვითარებისა და გაცვლის სფეროში, და ცოდნაზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარება საერთაშორისო ბაზრების შესაძლებლობების გამოყენებით და შიდა KBF-ების, ასევე ტექნოლოგიური კომპანიების ასეთ ბაზრებზე შესვლის ხელშეწყობა.

• მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების სამინისტრო

მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების სამინისტრო (MSRT) არის მთავარი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ჩართულია უმაღლეს განათლებაში, მეცნიერებაში, კვლევებასა და ტექნოლოგიებში. სამინისტროს მისიაა:

- უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების (საჯარო/კერძო) მხარდაჭერა და წახალისება;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შემუშავება;
- სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკებისა და ინკუბატორების მხარდაჭერა;
- ფოკუსირება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ინჟინერია, ფუნდამენტური მეცნიერებები, ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები და სოფლის მეურნეობა;
- კვლევის ხელშეწყობა და მხარდაჭერა დაფინანსების, ადამიანური რესურსების განვითარებისა და საჭირო კვლევითი საშუალებების უზრუნველყოფის გზით;
- ცოდნისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ყველა დარგში, მათ შორის ტრადიციული ცოდნის სფეროში;
- ხელი შეუწყოს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას;
- კვლევითი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში მომსახურების მიწოდება.

გარდა ამისა, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დიპლომატიის განხორციელებას, აკადემიური თანამშრომლობის განვითარებას, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის გაძლიერებასა და გაუმჯობესებას უცხოელ პარტნიორებთან, მათ შორის უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო და ტექნიკურ ინსტიტუტებთან.

გარდა ამისა, არსებობს სხვა საჯარო ან კერძო ინსტიტუტები შესაბამისი ფუნქციებით, მათ შორის განათლების სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია დაწყებით და საშუალო განათლებაზე, ჯანდაცვისა და სამედიცინო განათლების სამინისტრო და სხვა სამეცნიერო და ტექნოლოგიური დაწესებულებები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა საჯარო თუ კერძო ინსტიტუტებთან.

• ირანის მაღალი ტექნოლოგიების ლაბორატორიების ქსელი

ირანის მაღალი ტექნოლოგიების ლაბორატორიული ქსელი (ე.წ. LabsNet) შეიქმნა 2014 წელს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისის მიერ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისა და ლაბორატორიებსა და მკვლევარებს შორის ეფექტური კომუნიკაციის შესაქმნელად, ინფრასტრუქტურის გაზიარების და უნივერსიტეტებისა და მკვლევრების ლაბორატორიული მომსახურების უზრუნველყოფის გზით. LabsNet მისიები მოიცავენ მაღალი ტექნოლოგიური ლაბორატორიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ლაბორატორიული საქმიანობის სტანდარტიზაციის გზით, ლაბორატორიული ტექნიკოსების ცოდნის ბაზის გაუმჯობესება სასწავლო კურსების, ცოდნის გაზიარების და ინდუსტრიული და აკადემიური მკვლევრების ლაბორატორიულ სერვისებზე წვდომის ხელშეწყობის გზით.

ამჟამად Labsnet-ი მომსახურებას უწევს 1500-ზე მეტ საჯარო და კერძო ლაბორატორიას ირანში. ეს ლაბორატორიები მოიცავს უნივერსიტეტებს (45%), ინსტიტუტებსა და კვლევით ცენტრებს (19%), კომპანიებს (35%) და ტექნოლოგიურ პარკებსა და ინკუბატორებს (1%). ქვევით ნაჩვენებია ლაბორატორიები, რომლებიც დაკავშირებული არიან Labsnet-თან.




Figure 23: მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიების ქსელთან დაკავშირებული ლაბორატორიები

LabsNet ასევე მოიცავს მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიული მომსახურების ფართო სპექტრს, როგორცაა ნანოტექნოლოგია, ბიოტექნოლოგია, ენერგეტიკა, კოგნიტური კვლევა, დეროვანი უჯრედები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამკურნალო მცენარეები და ა.შ. ასევე აქვს:

- 1500 ლაბორატორიული კომპლექსი (ეროვნული) ქვეყნის 152 ქალაქში;
- 10000-ზე მეტი ლაბორატორიის თანამშრომელი;
- 28000-ზე მეტი ლაბორატორიული მოწყობილობა (ეროვნული); და
- წელიწადში 3 მილიონზე მეტი ლაბორატორიული მომსახურება.

LabsNet უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს წევრებს გაუზიარონ თავიანთი შესაძლებლობები, გამოცდილება და ცოდნა ქსელის საშუალებით; ასევე ქმნის დაფინანსების შესაძლებლობებს წევრი ლაბორატორიებისთვის განახლებისა და/ან სტანდარტიზაციისთვის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისის მიერ გამოყოფილი სახსრებით.

LabsNet მხარს უჭერს მრავალ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტს სხვადასხვა სფეროში, როგორცაა ლაბორატორიული მომსახურება, ინტერლაბორატორიული შედარება, ტრენინგი, სტანდარტიზაცია, განახლება და სხვა ორმხრივი ინტერესის მქონე პროექტები. ამ მიზნით 2020 წელს შეიქმნა Labsnet-ის საერთაშორისო ერთეული. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის ამ ქსელს 7 ქვეყნის 21 ლაბორატორია შეუერთდა.

• ირანის პროგრესისა და განვითარების ცენტრი

1984 წელს დაარსების დღიდან, ირანის პროგრესისა და განვითარების ცენტრი (CPDI) ყოველთვის ცდილობდა გამოეკვეთა ირანის განვითარებაში, განსაკუთრებით მოწინავე ტექნოლოგიების სფეროში არსებული პრობლემები და აღმოეფხვრა ისინი. ამ როლს ასრულებს ქვეყნის ძირითადი შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესახებ ინფორმირება და დისკუსიის შექმნა პროგრესისა და ოპერატიულ ღონისძიებებში აქტიური ურთიერთქმედების მიზნით (როგორცაა პროტოტიპირება და მოდელირება, ინსტიტუციონალიზაცია, პოლიტიკის შემუშავება და მექანიზმები). CPDI მიიჩნევს, რომ ქვეყნის პროგრესი ვერ იქნება მიღწეული, თუ არ იქნება კონსენსუსი ქვეყანაში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის და არ იქნება სათანადოდ გამოყენებული საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები. ამ მიზნით, CPDI-ს, როგორც კონსულტანტსა და ფასილიტატორს, აქვს მჭიდრო ურთიერთობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის აღმასრულებელ უწყებებთან, უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან, კერძო კომპანიებთან, სპეციალისტებთან და მეცნიერებთან. ეს ცენტრი ასევე ცდილობს გამოავლინოს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები და დაამყაროს კონსტრუქციული და უწყვეტი ურთიერთქმედება სხვადასხვა ქვეყნებთან და ინსტიტუტებთან.

ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურა. შესაბამისად, CPDI, ამ სტრუქტურის ახალგაზრდა პროფესიონალების დახმარებით, ქმნის ჯგუფებს, რომლებიც ფოკუსირდებიან განვითარების სხვადასხვა სფეროზე, ქვეყნის პროგრესის გზაზე სპეციალური მისიების შესასრულებლად.

• ინოვაციებისა და კეთილდღეობის ფონდი

ინოვაციებისა და კეთილდღეობის ფონდი შეიქმნა 2011 წელს, უშუალოდ პრეზიდენტის დაქვემდებარების ქვეშ, ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიების მატერიალური და არამატერიალური მხარდაჭერის მიზნით. 2017 წლის მარტიდან მოყოლებული, ფონდმა დააფინანსა 2117 პროექტი, ჯამური ბრუნვით 395 მილიონი აშშ დოლარი. უფრო მეტიც, მაღალი და საშუალო მაღალტექნოლოგიური ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა 2004 წლის 1,5 მილიარდი დოლარიდან 2014 წელს 12,1 მილიარდ დოლარამდე, რის შემდეგაც 2016 წელს მთლიანი სავაჭრო ბალანსი დადებითი გახდა.

• ირანის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ირანის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (INSF) დაარსდა 2003 წელს ირანის კულტურული რევოლუციის უმაღლესი საბჭოს მიერ. ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, INSF-მა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ირანელი მკვლევრებისა და მეცნიერებისთვის სხვადასხვა სახის მხარდაჭერის პროგრამების უზრუნველსაყოფად, მეცნიერებასა და მრეწველობას შორის არსებული ნაპრალი შესამცირებლად, რათა ირანელი ხალხისთვის მეტად ხელშესახები გახდეს სამეცნიერო განვითარების გავლენა მათი ცხოვრების ხარისხზე. დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების 70%-ზე მეტი მონაწილეობს INSF-ის მიერ განსაზღვრულ სხვადასხვა აქტივობებსა და პროექტებში.

ფონდის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ინოვაციური ცენტრების განვითარების მხარდაჭერას, კვლევით პროექტებს და საერთაშორისო საპატენტო განაცხადებს. სამეცნიერო ღონისძიებების, დოქტორანტურის შემდგომი და მოკლევადიანი პროგრამებისა განხორციელებას; კვლევითი გრანტების გაცემას.



• ეროვნული ელიტური ფონდი

ეროვნული ელიტების ფონდი შეიქმნა 2004 წელს მეცნიერების ინოვაციებისა და ლიდერების ფინანსური და ინტელექტუალური მხარდაჭერის მიზნით. ორგანიზაცია სთავაზობს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას თავის წევრებს, მათ შორის სამეცნიერო, ფულად/არაფულა წახალისებას, როგორცაა დაბალპროცენტიანი ან უპროცენტო სესხების გაცემა, ქვეყანაში იშვიათი რესურსების ან ლაბორატორიული საშუალებების მიწოდება, წევრების ჩართვა მოთხოვნად/პრიორიტეტულ ეროვნულ პროექტებში, რომლებიც ეხმარება წევრებს თავიანთი ინოვაციების კომერციალიზაციაში, ასევე მათთვის სხვა მსგავსი დამხმარე სერვისებითა და ქსელური შესაძლებლობებით უზრუნველყოფა.

2013 წლის დეკემბერში ფონდში შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი. დეპარტამენტის მიზანია გამოიყენოს არარეზიდენტი ირანელების ინტელექტუალური შესაძლებლობები, რათა გააუმჯობესოს შიდა შესაძლებლობები S&T-ში და გაიზიაროს ირანული დიასპორის გამოცდილება. ფონდი თავის მომსახურებას სთავაზობს ოთხ განსხვავებულ ჯგუფს: ირანელ დოქტორანტებს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტიდან, ირანელ პროფესორებს, რომლებიც ასწავლიან მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, ირანელ ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო ცენტრებსა და კომპანიებს ტექნოლოგიების სფეროში და ბოლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი - არარეზიდენტ ირანელ ინვესტორებს და წარმატებული გამოცდილების მქონე მეწარმეებს. შერჩევის კრიტერიუმები გადაიხედა 2014 წელს, რათა მოიცვას ჯგუფები და ინდივიდები მათი კვლევის, ცოდნის, გამოცდილებისა და აკადემიური მოსწრების საფუძველზე.

• ფარდისის ტექნოლოგიური პარკი

ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკი -ფარდისის ტექნოლოგიური პარკი (PTP), დაარსდა 2005 წელს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საპრეზიდენტო ოფისის ზედამხედველობით. ფარდისის ტექნოლოგიური პარკი შექმნილია ტექნოლოგიური მიღწევების კომერციალიზაციისთვის და ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად ტექნოლოგიების ზრდისა და მოწინავე საწარმოების განვითარებისთვის მოწინავე სერვისების მიწოდების გზით; კონსურენტუნარიანობის გაზრდის და ტექნოლოგიურ ინკუბატორებზე, სპინ-ოფ პროცესებსა და სპეციალიზებულ სამუშაოზე წვდომს უზრუნველყოფის მიზნით. პასუხობს რეალურ და პოტენციურ გლობალურ ბაზრებზე დაკავშირების მოთხოვნას.

2020 წლის იანვარში პარდისის ტექნოლოგიურ პარკში 470 მაღალტექნოლოგიური კომპანია მუშაობდა. ქვემოთ მოყვანილი სქემა წარმოადგენს წევრი კომპანიების ტექნოლოგიურ კომბინაციას.




Figure 24: Combination of PTP Companies

• ინოვაციების აქსელერაციის ცენტრი


ინოვაციების აქსელერაციის ცენტრმა მუშაობა 2014 წელს დაიწყო ფარდისის ტექნოლოგიური პარკის (PTP) მეთვალყურეობის ქვეშ, რომლის მთავარი მიზანია ქვეყანაში მეწარმეობის ეკოსისტემის გაძლიერება და სტარტაპების ზრდის დაჩქარება. სამთავრობო და კერძო სექტორი თანამშრომლობის გზით, ერთმანეთს უზიარებს გამოცდილებას მეწარმეობის ეკოსისტემის გაძლიერების მიზნით. გარდა სხვადასხვა სამეწარმეო აქტივობებისა, ცენტრი პასუხისმგებელია სხვადასხვა აქსელერატორების, როგორც სტარტაპების გაძლიერების და ახალგაზრდა მეწარმეების მომზადების ეფექტური ღონისძიების შექმნაზე. ინოვაციების აქსელერაციის ცენტრი არ იმურებს ძალისხმევას, რომ შექმნას თანამშრომლობის სივრცეები ახალგაზრდა მეწარმეებისთვის, რათა შექმნან ახალი გუნდები და იპოვონ ახალი სტარტაპები სტარტაპ საზოგადოებასთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით.

• ირანის ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია

ირანის ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია (IRVC), რომელიც დაარსდა 2012 წელს, არის არასამთავრობო ორგანიზაცია, წარმოადგენს ირანის სარისკო კაპიტალის და ბიზნეს-ანგელოზის სექტორებს, ასევე აქსელერატორების და S&T დაფინანსების ორგანიზაციებს. ირანული VC-ების და ამაჩქარებლების 80%-ზე მეტი IRVC წევრია. ინვესტორთა და გამომგონებელთა ფართე ქსელის წყალობით, IRVC უზრუნველყოფს ზუსტ მონაცემებსა და გამჭვირვალობას ირანის ბაზარზე, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები თავიანთი კაპიტალის, ინოვაციების ან გამოცდილების ბაზარზე შემოტანის შესახებ. ირანში აქტიური ფინანსური ინსტიტუტების, ვენჩურული კაპიტალისტებისა და მეწარმეების ძლიერი სტრუქტურის შექმნით, IRVC ხელს უწყობს პროფესიონალურ ინვესტიციებს სტარტაპებსა და ახალი ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ კომპანიებში.

ირანის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და
ინოვაციების ეკოსისტემის ზოგიერთი
ძირითადი მოთამაშე





ეროვნული განვითარების პოლიტიკის დაცვა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის რეალიზებაზე, ნავთობით მდიდარ სხვა ქვეყნებთან შედარებით ნავთობისა და გაზის შემოსავლებზე ყველაზე დაბალი დამოკიდებულების მქონე ეკონომიკაში. ეროვნული საინოვაციო სისტემის შესაბამისად, ირანი სტაბილურად მიიწევს ცოდნაზე დაფუძნებული და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკისკენ და ცდილობს გააძლიეროს თავისი პროდუქტიული შესაძლებლობები, წაახალისოს საერთაშორისო თანამშრომლობა ტექნოლოგიების გაცვლის მიზნით და უფრო აქტიურად ჩაერთოს ინოვაციურ საქმიანობაში ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.



ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს
კულტურის განყოფილება
საქართველო